სსიპ შოთა რუსთაველის
საქართველოს ეროვნული
სამეცნიერო ფონდი

23/04/2026

MES 0 26 0000470709

ბრძანება

თბილისი

2026 წლის სსიპ შოთა რუსთაველის საქართველოს ეროვნული სამეცნიერო ფონდისა და საქართველოს ფრანგული ინსტიტუტის ერთობლივი კვლევითი სტაჟირების პროგრამის საგრანტო კონკურსის გამოცხადების, კონკურსის პირობების და საკონკურსო დოკუმენტაციის ფორმების
დამტკიცების შესახებ

„სსიპ შოთა რუსთაველის საქართველოს ეროვნული სამეცნიერო ფონდისა და საქართველოს ფრანგული ინსტიტუტის ერთობლივი კვლევითი სტაჟირების პროგრამის საგრანტო კონკურსის დებულების და პროექტის შეფასების კრიტერიუმების დამტკიცების შესახებ" საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის 2019 წლის 12 დეკემბრის N 235/ნ ბრძანებით დამტკიცებული დებულების მე-4 მუხლის პირველი და მე-2 პუნქტების, „საჯარო სამართლის იურიდიული პირის - შოთა რუსთაველის საქართველოს ეროვნული სამეცნიერო ფონდის დაფუძნებისა და მისი წესდების დამტკიცების შესახებ" საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 28 ივლისის N62/ნ ბრძანებით დამტკიცებული წესდების მე-5 მუხლის მე-2 პუნქტის „ე" ქვეპუნქტის საფუძველზე და სსიპ - შოთა რუსთაველის საქართველოს ეროვნული სამეცნიერო ფონდის სამეცნიერო დეპარტამენტის უფროსის მოვალეობის შემსრულებლის სამსახურებრივი ბარათის (N467209, 22/04/2026) შესაბამისად,

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

1. გამოცხადდეს 2026 წლის სსიპ შოთა რუსთაველის საქართველოს ეროვნული სამეცნიერო ფონდისა და საქართველოს ფრანგული ინსტიტუტის ერთობლივი კვლევითი სტაჟირების პროგრამის საგრანტო კონკურსი (შემდგომში კონკურსი);
2. დამტკიცდეს სსიპ შოთა რუსთაველის საქართველოს ეროვნული სამეცნიერო ფონდისა და საქართველოს ფრანგული ინსტიტუტის ერთობლივი კვლევითი სტაჟირების პროგრამის საგრანტო კონკურსის პირობები ამ ბრძანების დანართი N1-ის შესაბამისად;
3. დამტკიცდეს კრებსითი ინფორმაცია პროექტის შესახებ ფორმა ამ ბრძანების დანართი N2-ის შესაბამისად;
4. დამტკიცდეს საპროექტო წინადადების ფორმა ამ ბრძანების დანართი N3-ის შესაბამისად;
5. დამტკიცდეს პროფესიული ბიოგრაფიის (CV) ფორმა ამ ბრძანების დანართი N4-ის შესაბამისად;
6. დამტკიცდეს კონკურსში მონაწილეობის შესახებ განცხადების ფორმა ამ ბრძანების დანართი N5-ის შესაბამისად;

7. კონკურსის კოორდინატორად განისაზღვროს სსიპ შოთა რუსთაველის საქართველოს ეროვნული სამეცნიერო ფონდის (შემდგომში - ფონდი) სამეცნიერო დეპარტამენტის სპეციალისტი ნინო აბუსელიძე; ფინანსურ კონსულტანტებად - ფონდის ხარისხის მართვისა და მონიტორინგის დეპარტამენტის სპეციალისტები ზურაბ აბრამიშვილი და თეონა ზაქაშვილი;
8. დაევალოს ფონდის საერთაშორისო თანამშრომლობის და საზოგადოებასთან ურთიერთობის დეპარტამენტს უზრუნველყოს წინამდებარე ბრძანების ფონდის ვებგვერდზე განთავსება;
9. ბრძანება ძალაშია ვებგვერდზე გამოქვეყნებისთანავე.
10. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს მისი ძალაში შესვლიდან ერთი თვის ვადაში თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (მის: ქ. თბილისი, დ. აღმაშენებლის ხეივანი №64).

სსიპ - შოთა რუსთაველის საქართველოს ეროვნული
სამეცნიერო ფონდი
გენერალური დირექტორი
დოჭვირი თეიმურაზ

თ. დოჭვირი

დანართი 1
დამტკიცებულია
სსიპ შოთა რუსთაველის საქართველოს ეროვნული
სამეცნიერო ფონდის გენერალური დირექტორის
2026 წლის 23 აპრილის N 470709 ბრძანებით

სსიპ შოთა რუსთაველის საქართველოს ეროვნული სამეცნიერო ფონდისა და საქართველოს ფრანგული ინსტიტუტის ერთობლივი კვლევითი სტაჟირების პროგრამის საგრანტო კონკურსის პირობები

მუხლი 1. ზოგადი დებულებანი

1. სსიპ – შოთა რუსთაველის საქართველოს ეროვნული სამეცნიერო ფონდისა (შემდგომში – „ფონდი“) და საქართველოს ფრანგული ინსტიტუტის (შემდგომში – „ინსტიტუტი“) ერთობლივი კვლევითი სტაჟირების პროგრამის საგრანტო დაფინანსება (შემდგომში – „დაფინანსება“) განხორციელდება საგრანტო კონკურსის (შემდგომში – „კონკურსი“) საფუძველზე.

2. ფონდისა და ინსტიტუტის ერთობლივი კვლევითი სტაჟირების პროგრამის საგრანტო კონკურსის პირობები (შემდგომში – „პირობები“) არეგულირებს კონკურსის გამართვის, შეფასების, გრანტის გაცემისა და საპროექტო განაცხადების მონიტორინგის წესს.

3. კონკურსის ფარგლებში დაფინანსდება პროექტები ყველა სამეცნიერო მიმართულებაში, გამორჩეული მეცნიერების ხელშეწყობის მიზნით.

მუხლი 2. კონკურსში მონაწილე სუბიექტები და მონაწილეობის პირობები

1. კონკურსში მონაწილეობა შეუძლია საქართველოს მოქალაქე, დოქტორის ან მასთან გათანაბრებული აკადემიური ხარისხის მქონე პირს, რომლის ხარისხის მინიჭების დღიდან, კონკურსის გამოცხადების დღემდე გასულია არაუმეტეს 12 წელი.
2. კონკურსში მონაწილე პირი უნდა ფლობდეს ინგლისურ ან ფრანგულ ენას.
3. პროექტს უნდა ჰყავდეს მასპინძელი დაწესებულება, რომლის ბაზაზეც მიწვეული მკვლევარი განახორციელებს კვლევით და აკადემიურ საქმიანობას.
4. კონკურსის ფარგლებში საფრანგეთის უნივერსიტეტებსა და კვლევით ინსტიტუციებში საქართველოს მკვლევართა კვლევითი სტაჟირების ხანგრძლივობა უნდა შეადგენდეს 1 თვეს.
5. კონკურსის ფარგლებში დაფინანსების მოპოვება შესაძლებელია ყველა სამეცნიერო მიმართულებაში.

მუხლი 3. პროექტის ბიუჯეტი და ძირითადი ფინანსური მოთხოვნები

1.ფონდისა და ინსტიტუტის მხრიდან პროგრამის ჯამური დაფინანსება შეადგენს **6100 ევროს.**

2. ჯამური დაფინანსება ფონდის მხრიდან **ორი მკვლევრისათვის შეადგენს 2850** (ორი ათას რვაას ორმოცდაათი) ევროს, რაც გულისხმობს **1800 ევროს ერთი მკვლევრისათვის (არაუმეტეს 750 ევრო ორმხრივი საერთაშორისო მგზავრობა და 1050 ევრო საცხოვრებელი სტიპენდია), ხოლო მეორე მკვლევრისათვის 1050 ევრო (საცხოვრებელი სტიპენდია).**

3. ჯამური დაფინანსება ინსტიტუტის მხრიდან ორი მკვლევრისათვის:

ა) რომელთაც აქვთ დოქტორის ხარისხი, რომლის მინიჭების დღიდან გასულია 5 წელზე ნაკლები დრო შეადგენს 2950 ევროს, რაც გულისხმობს 1,850 ევროს ერთი მკვლევრისთვის (მათ შორის 750 ევრო საერთაშორისო მოგზაურობისთვის) და 1,100 ევრო მეორე მკვლევრისთვის.
გამოყოფილი თანხიდან, 929 ევრო პირდაპირ დაფარავს ყველა ხარჯს, რომელიც დაკავშირებულია საცხოვრებლის, დაზღვევის, საჭიროების შემთხვევაში მატარებლით მგზავრობის და ადმინისტრაციულ ხარჯებთან, რასაც ადმინისტრირებას უწევს სააგენტო Campus France. დარჩენილი 171 ევრო ჩაერიცხება მკვლევარს, როგორც საცხოვრებელი სტიპენდიის დანამატი.
ბ) რომელთაც აქვთ დოქტორის ხარისხი, რომლის მინიჭების დღიდან გასულია 5 წელზე მეტი დრო შეადგენს 3250 ევროს, რაც გულისხმობს 2,000 ევროს ერთი მკვლევრისთვის (მათ შორის 750 ევრო საერთაშორისო მოგზაურობისთვის) და 1,250 ევრო მეორე მკვლევრისთვის.
გამოყოფილი თანხიდან 943.70 ევრო პირდაპირ დაფარავს ყველა ხარჯს, რომელიც დაკავშირებულია საცხოვრებლის, დაზღვევის, საჭიროების შემთხვევაში მატარებლით მგზავრობის და ადმინისტრაციულ ხარჯებთან, რასაც ორგანიზებას უწევს სააგენტო Campus France. დარჩენილი 306.30 ევრო ჩაერიცხება მკვლევარს, როგორც საცხოვრებელი სტიპენდიის დანამატი.

4. გამარჯვებული საგრანტო პროექტის დაფინანსება განხორციელდება საგრანტო ხელშეკრულების საფუძველზე, რომელსაც ფონდი გააფორმებს გრანტის მიმღებთან. საგრანტო დაფინანსება გრანტის მიმღების მიზნობრივ ანგარიშზე ჩაირიცხება დამტკიცებული ბიუჯეტის მიხედვით ევროს ეკვივალენტი ლარში, გადარიცხვის დღეს საქართველოს ეროვნული ბანკის ოფიციალური გაცვლითი კურსის მიხედვით.

მუხლი 4. საკონკურსო დოკუმენტაცია

1. საგრანტო კონკურსში მონაწილეობისათვის მკვლევარმა გრანტების მართვის ერთიან სისტემაში GMUS [Grants Management Unified System] ელექტრონულად უნდა დაარეგისტრიროს პროექტი, რომელიც შედგება შემდეგი დოკუმენტებისგან:

ა) კრებსითი ინფორმაცია ქართულ და ინგლისურ ენებზე (დანართი 2) ივსება GMUS-ში პროექტის რეგისტრაციის დროს;
ბ) საპროექტო წინადადება ქართულ და ინგლისურ ენებზე (დანართი 3) იტვირთება GMUS-ში PDF დოკუმენტის სახით;
გ) მიწვეული მკვლევარის პროფესიული ბიოგრაფიები (CV-ები) ქართულ და ინგლისურ ენებზე - იტვირთება პროექტში PDF დოკუმენტების სახით. კონკურსში მონაწილე მიწვეული მკვლევარი უნდა დარეგისტრირდეს GMUS-ში, შექმნას „მეცნიერის პროფილი“ ქართულ და ინგლისურ ენებზე. მათ მიერ შექმნილი პროფილიდან გენერირდება CV-ები, ექსპორტირდება და იტვირთება პროექტში (დანართი 4);
დ) ინგლისური ენის ან ფრანგული ენის ცოდნის დამადასტურებელი ოფიციალური დოკუმენტი (სერტიფიკატი, ან დოკუმენტი ენის მინიმუმ B2 დონეზე ცოდნის მითითებით);
ე) მხარდაჭერის წერილი **მასპინძელი დაწესებულებისგან** (საფრანგეთის უნივერსიტეტები და კვლევითი ინსტიტუციები), ხელმოწერილი უფლებამოსილი პირის მიერ ორგანიზაციის ოფიციალურ ბლანკზე (კვლევითი ვიზიტის დაწყების თარიღისა და ხანგრძლივობის

მითითებით). წერილის ქართული თარგმანი დამოწმებული უნდა იყოს თარჯიმნისა ან/და თარჯიმანთა ბიუროს ბეჭდებით;

2. საგრანტო კონკურსში მონაწილეობისათვის ფონდის კანცელარიაში კონკურსანტებმა უნდა წარმოადგინონ:

   ა) „განცხადება კონკურსში მონაწილეობის შესახებ“ (ნიმუში 10, გენერირდება GMUS-ით) დამოწმებული შესაბამისი ხელმოწერით;

3. კონკურსში გამარჯვების შემთხვევაში გრანტის მიმღებმა ფონდის კანცელარიაში უნდა

წარმოადგინოს:

   ა) მიზნობრივი ანგარიშის რეკვიზიტები – ამ პროექტისათვის გახსნილი ლარის საბანკო ანგარიშის ნომერი, რომელზეც გამარჯვების შემთხვევაში ჩაირიცხება გრანტი და ცნობა ბანკიდან, რომ აღნიშნულ ანგარიშზე არ ირიცხება სარგებელი;

4. საკონკურსო დოკუმენტაცია წარმოდგენილი უნდა იყოს ამ ბრძანებით დამტკიცებული წესების, ფორმებისა და ვადების დაცვით.

5. პროექტის სრულყოფილად წარმოდგენაზე, ქართული და ინგლისური ვერსიების იდენტურობასა და თარგმანის ხარისხზე პასუხისმგებელია მკვლევარი.

მუხლი 5. კონკურსზე რეგისტრაციის წესი

1. კონკურსში რეგისტრაცია ხორციელდება ორ ეტაპად:

   ა) პროექტის ელექტრონული რეგისტრაცია – 2026 წლის 23 აპრილიდან - 2026 წლის 25 მაისის 16:00 საათამდე;

   ბ) პროექტის ფონდის კანცელარიაში რეგისტრაცია – 2026 წლის 28 მაისის 18:00 საათამდე.

2. ელექტრონული რეგისტრაციის ეტაპი გულისხმობს საკონკურსო დოკუმენტაციის ატვირთვასა და გადაგზავნას ფონდის გრანტების მართვის ერთიან სისტემაში (GMUS) შემდეგ ბმულზე: http://gmus.rustaveli.org.ge. ელექტრონული რეგისტრაციისათვის საჭიროა:

ა) **კონკურსში მონაწილე მკვლევარის რეგისტრაცია** – GMUS-ში „მეცნიერის პროფილის“ შექმნა, ბიოგრაფიული მონაცემების შევსება ქართულ და ინგლისურ ენებზე, აკადემიური ხარისხის დამადასტურებელი დოკუმენტის ატვირთვა. თუ აკადემიური ხარისხის დამადასტურებელი დოკუმენტი გაცემულია უცხოეთში, მას თან უნდა ერთვოდეს სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის მიერ გაცემული დოკუმენტი უცხოეთში მიღებული განათლების აღიარების შესახებ;

ბ) **პროექტის რეგისტრაცია** – კონკურსის პირობების მე-4 მუხლის 1-ლი პუნქტით გათვალისწინებული ინფორმაციის შევსება და მოთხოვნილი დოკუმენტების ატვირთვა GMUS-ის შესაბამის ველებში;

3. ფონდის კანცელარიაში რეგისტრაციის ეტაპი გულისხმობს კონკურსში მონაწილეობის შესახებ განცხადების წარდგენას ფონდის კანცელარიაში კონკურსის პირობების მე-4 მუხლის მე-2 პუნქტით დადგენილი წესის შესაბამისად.

4. საკონკურსოდ განიხილება მხოლოდ ის პროექტი, რომელსაც დადგენილი ვადებისა და წესების დაცვით გავლილი აქვს ელექტრონული რეგისტრაცია და ფონდის კანცელარიაში წარდგენილი აქვს შესაბამისი „განცხადება კონკურსში მონაწილეობის შესახებ“.

მუხლი 6. საგრანტო კონკურსის ადმინისტრირება

1. კონკურსის ადმინისტრირების ეტაპებია:
   ა) კონკურსის გამოცხადება დადგენილი წესით - 2026 წლის 23 აპრილი;

   ბ) პროექტების ელექტრონული რეგისტრაცია - 2026 წლის აპრილი-მაისი;

   გ) ჯგუფური ონლაინ კონსულტაციები - ზუსტი თარიღი და დრო გამოქვეყნდება ფონდის ვებგვერდზე;

   დ) კონკურსის პირობებთან შესაბამისობის დადგენის მიზნით საკონკურსოდ წარმოდგენილი განაცხადების ტექნიკური ექსპერტიზა –2026 წლის ივნისი;

   ე) კონკურსის პირობების დაცვით წარმოდგენილი პროექტების შეფასება პანელის მიერ და კონკურსის შედეგების გამოქვეყნება – 2026 წლის ივნისი-სექტემბერი.

მუხლი 7. პროექტების შეფასება

1. ფონდი უზრუნველყოფს პროექტების შეფასებისათვის აუცილებელი პროცედურების ადმინისტრირებას.
2. ფონდის გენერალური დირექტორი ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით ამტკიცებს ექსპერტთა პანელს.
3. პანელი პროექტებს აფასებს საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის 2019 წლის 12 დეკემბრის N235/ნ ბრძანების მე-15 მუხლით დამტკიცებული პროექტის შეფასების კრიტერიუმების მიხედვით.
4. პანელი საკუთარი შემადგელობიდან ირჩევს პანელის თავმჯდომარეს. ჯგუფის მდივანი განისაზღვრება ფონდის გენერალური დირექტორის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ სამართლებრივი აქტით. პანელის წევრები ხმათა უმრავლესობის საფუძველზე წერენ ქულებსა და კომენტარს თითოეული პროექტისათვის. ხმების თანაბრად გაყოფის შემთხვევაში, გადამწყვეტია თავმჯდომარის ხმა. პანელის გადაწყვეტილება ფორმდება სხდომის ოქმით, რომელსაც ხელს აწერს პანელის ყველა წევრი.
5. ფონდის გენერალური დირექტორი ამტკიცებს დასაფინანსებლად შერჩეულ პროექტებს.
6. კონკურსის შედეგების გამოცხადების შემდეგ, ფონდი უზრუნველყოფს პროექტის შეფასებების ასახვას GMUS-ში.

მუხლი 8. საგრანტო ხელშეკრულების გაფორმება

გამარჯვებული პროექტების ფონდის გენერალური დირექტორის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით დამტკიცების შემდგომ ფონდი უზრუნველყოფს საგრანტო ხელშეკრულების გაფორმებას.

მუხლი 9. საგრანტო ხელშეკრულების შესრულების მონიტორინგი

1. ფონდი ახორციელებს დაფინანსებული პროექტების საგრანტო ხელშეკრულების შესრულების მონიტორინგს (შემდგომში - მონიტორინგი), რომლის დროსაც განიხილავს გრანტის მიმღების მიერ წარმოდგენილ საბოლოო ანგარიშს და ადგენს შესაბამის განხილვის აქტს.

2. მონიტორინგი მოიცავს ფინანსურ და პროგრამულ მონიტორინგს:
   ა) ფინანსური მონიტორინგი გულისხმობს საგრანტო ხელშეკრულების ფარგლებში ფონდის მიერ გადარიცხული თანხების ხარჯვის შესაბამისობის დადგენას ამავე ხელშეკრულებით გათვალისწინებულ დაფინანსებასთან.
   ბ) პროგრამული მონიტორინგის ფარგლებში გრანტის მიმღები მეცნიერი ვალდებულია წარმოადგინოს საგრანტო ხელშეკრულებით გათვალისწინებული კვლევითი ვიზიტის მოსალოდნელი შედეგების შესრულების შესახებ ინფორმაცია ფონდის გენერალური დირექტორის მიერ დამტკიცებული ფორმის შესაბამისად, რომელიც წარმოდგენილი უნდა იყოს ორგანიზაციის ოფიციალურ ბლანკიან ფურცელზე, დამოწმებული მასპინძელი დაწესებულებიდან კვლევის მენტორის ხელმოწერით და მისი შესაბამისი ქართული თარგმანით, დამოწმებული თარჯიმანთა ბიუროს/ თარჯიმნის ბეჭდით.
3. ფონდი არ არის ვალდებული განახორციელოს საგრანტო პროექტის იმ აქტივობებზე მონიტორინგი, რომლებიც არ არის გათვალისწინებული საგრანტო ხელშეკრულებით.
4. გრანტის მიმღები მეცნიერი ვალდებულია, სტაჟირების დასრულების შემდგომ, ფონდში წარმოადგინოს ფონდის მიერ გაცემული თანხის ხარჯვის დამადასტურებელი დოკუმენტაცია, შესაბამისი მომსახურების ტიპის, ვადებისა და თანხის მითითებით.

მუხლი 10. პროექტის შეჩერება, შეწყვეტა და დასრულება

პროექტის შეჩერება, შეწყვეტა და დასრულება რეგულირდება საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2019 წლის 12 დეკემბრის №235/ნ ბრძანებით დამტკიცებული კონკურსის დებულების მე-14 მუხლით განსაზღვრული წესებით და საგრანტო ხელშეკრულებით.

მუხლი 11. დამატებითი მოთხოვნები გრანტის მიმღების მიმართ

1. საგრანტო პროექტის ფარგლებში განხორციელებული კვლევის შედეგების ამსახველ პუბლიკაციებში (სტატია, მონოგრაფია, საკონფერენციო აბსტრაქტი და ა.შ) (ასეთის არსებობის შემთხვევაში) სავალდებულოა, მითითებული იყოს, რომ კვლევა განხორციელდა „შოთა რუსთაველის საქართველოს ეროვნული სამეცნიერო ფონდის მხარდაჭერით [გრანტის ნომერი ...]“ / „This work was supported by Shota Rustaveli National Science Foundation of Georgia (SRNSFG) [grant number …]“.
2. საგრანტო პროექტის ფარგლებში შექმნილ ვიზუალურ პროდუქციაზე (ნაბეჭდ, ფოტო, აუდიო, ვიდეო, ელექტრონულ პროდუქციაზე და ვებგვერდზე) სავალდებულოა განთავსდეს შოთა რუსთაველის საქართველოს ეროვნული სამეცნიერო ფონდის ლოგო და მითითებული იყოს, რომ საგრანტო პროექტი განხორციელდა “შოთა რუსთაველის საქართველოს ეროვნული სამეცნიერო ფონდის მხარდაჭერით”.
3. ფონდი უფლებამოსილია გრანტის მიმღებთა მიერ წარდგენილი პროექტის აბსტრაქტი, პროგრამული ანგარიშები და ბეჭდვითი ან/და ვიზუალური მასალები გამოიყენოს საკუთარი საქმიანობის ანგარიშში, ბეჭდვით და ელექტრონულ გამოცემებში, განათავსოს ფონდის ვებგვერდზე.
4. გრანტის მიმღები ვალდებულია, კვლევითი ვიზიტის დასრულებისა და საქართველოში დაბრუნების შემდეგ (საგრანტო ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვადების დაცვით) შესაბამის უნივერსიტეტში/დაწესებულებაში ჩაატაროს პრეზენტაცია კვლევითი ვიზიტის ფარგლებში განხორციელებული აქტივობებისა და მიღებული შედეგების შესახებ და ფონდში წარმოადგინოს აღნიშნული ღონისძების ამსახველი მასალები.

ივსება გრანტების მართვის ერთიან სისტემაში GMUS-ში (Grants Management Unified System)
პროექტის რეგისტრაციის დროს

კრებსითი ინფორმაცია პროექტის შესახებ
Cover page

ზოგადი ინფორმაცია
General Iinformation

1	პროექტის სახელწოდება ქართულად	
	Project title in English	
2	კვლევითი სტაჟირების დაწყების თარიღი	
	Start date of the research fellowship	
3	პროექტის ხანგრძლივობა (თვე)	
	Project duration (month)	
4	მიწვეული მკვლევარი (სახელი, გვარი)	
	Visiting Scholar (Name, Surname)	
5	საპროექტო წინადადება	PDF ფაილის ატვირთვა
	Project proposal	PDF file upload

სამეცნიერო მიმართულებები / Scientific field		
6	პროექტის ძირითადი სამეცნიერო მიმართულება Scientific field	
7	სამეცნიერო ქვემიმართულება Sub-field	

8	საკვანძო სიტყვები (არაუმეტეს 5 სიტყვისა)	
	keywords (no more than 5 words)	

ინფორმაცია მასპინძელი დაწესებულების შესახებ / Information about the host institution		
1	მასპინძელი დაწესებულება	
	Host institution	
2	სამეცნიერო - კვლევითი სტაჟირების მასპინძელი სტრუქტურული ერთეულის დასახელება (ინსტიტუტი, ცენტრი, დეპარტამენტი, სკოლა, ფაკულტეტი და ა.შ.)	
	Name of the host unit (institution, center, department, faculty etc.)	
3	კვლევითი სტაჟირების მენტორი მასპინძელი დაწესებულებიდან	
	Fellowship mentor from the host institution	
4	კვლევითი ვიზიტის მასპინძელი სტრუქტურული ერთეულის ვებგვერდი	
	Webpage of the host unit	
5	მისამართი	
	Address	
6	მხარდაჭერის წერილი მასპინძელი დაწესებულებიდან	PDF ფაილის ატვირთვა
	Letter of support from the host institution	PDF file upload

ინფორმაცია მიწვეული მკვლევარის შესახებ / Information about the Visiting Scholar		
1	პირადი ნომერი	
	ID number	
2	სახელი, გვარი	
	Name, Surname	
3	სქესი (მდედრ. მამრ.)	
	Sex (male, female)	
5	აკადემიური ხარისხი/სტატუსი	
	Academic Degree/status	
6	ელექტრონული ფოსტა	
	E-mail	
7	ტელეფონი	
	Telephone	
8	პროფესიული ბიოგრაფია (CV)	PDF ფაილის ატვირთვა
	CV	PDF file upload
9	ენის ცოდნის დამადასტურებელი დოკუმენტი	PDF ფაილის ატვირთვა
	Language certificate	PDF file upload

დანართი 3
დამტკიცებულია
სსიპ შოთა რუსთაველის საქართველოს ეროვნული
სამეცნიერო ფონდის გენერალური დირექტორის
2026 წლის 23 აპრილის N 470709 ბრძანებით

შოთა რუსთაველის საქართველოს ეროვნული სამეცნიერო ფონდისა და საქართველოს ფრანგული ინსტიტუტის ერთობლივი კვლევითი სტაჟირების პროგრამის საგრანტო კონკურსი

საპროექტო წინადადება

რეკომენდებულია: საპროექტო წინადადების მაქსიმალური საერთო მოცულობა - 1500 სიტყვა ცხრილების, დიაგრამების, ნახაზებისა და გამოყენებული ლიტერატურის სიის ჩათვლით; გვერდის ველები: მინიმუმ 1,5 სმ - მარცხნივ, მარჯვნივ, ზემოთ და ქვემოთ; მწკრივების ინტერვალი - მინიმუმ 1, შრიფტი: Sylfaen; ზომა: 10.

ზოგადი ინფორმაცია პროექტის შესახებ

პროექტის სახელწოდება	
პროექტის სამეცნიერო მიმართულება	
კვლევითი სტაჟირების ხანგრძლივობა	
მიწვეული მკვლევარი (სახელი, გვარი)	
მიწვეული მკვლევარის აკადემიური ხარისხი/სტატუსი	
მასპინძელი დაწესებულება საფრანგეთში	
სამეცნიერო სტაჟირების მენტორი	

1. სამეცნიერო კომპონენტი

ა. შემოთავაზებული კვლევითი ვიზიტის/პროექტის აქტუალობა
(დაასაბუთეთ რატომ არის მნიშვნელოვანი საფრანგეთს კვლევით ინსტიტუტში/უნივერსიტეტში კვლევითი ვიზიტის განხორციელება. სიტყვების რეკომენდებული რაოდენობა - 400 სიტყვა)

ბ. კვლევითი სტაჟირების მიზნები და ამოცანები
(კვლევითი პროექტით დასახული მიზნების აღწერა/კონკრეტული აქტივობის შესახებ, რომელსაც განახორციელებს მიწვეული მკვლევარი სტაჟირების დასრულების შემდეგ. სიტყვების რეკომენდებული რაოდენობა - 400 სიტყვა)

2. მიწვეული მკვლევარის კომპეტენცია

(მოკლე აღწერილობა მკვლევარის სამეცნიერო მოღვაწეობისა და გამოცდილების შესახებ. სიტყვების რეკომენდირებული რაოდენობა - 200 სიტყვა).

3. სამეცნიერო ღირებულება და ეფექტურობა

(აღწერეთ, თუ რა სამეცნიერო ღირებულება და გავლენა/პერსპექტივა შეიძლება ჰქონდეს პროექტს გრძელვადიან პერიოდში (რეკომენდებული სიტყვების რაოდენობა – 400).

Annex №3

Call of Joint Research-fellowship program between Shota Rustaveli National Science Foundation of Georgia and French Institute of Georgia 2026

Project proposal

Recommended length of the proposal: 1500 words in total, including formulas, timetables, diagrams, illustrations and references; page margins: left, right, top and down – minimum 1.5 cm; line spacing – minimum 1, font - Sylfaen, font size 10.

General information about the project

Project title	
Scientific field	
length of research fellowship	
Visiting Researcher (Name, Surname)	
Academic degree/status of the visiting scholar	
Host Institution	
Mentor of the fellowship (from the host institution)	

1. Science Component of the proposed research fellowship project

1. Relevance of the Proposed Research Fellowship/Project

(Please, provide a detailed explanation of the significance of your research visit to the host French research organization/institution and justify why conducting a research visit is important. Recommended word count – 400 words)

2. Aims and objectives of research fellowship

(Description of the objectives and specific activities which will be fulfilled by the applicant, after completion of research visit. Recommended word count – 400 words)

2. The competence of visiting fellow

(A brief description of the researcher's scientific work and experience. Recommended word count -200 words).

3. Values and effectivness of the proposed research fellowship project

(Describe the scientific value of the project and its expected long-term effects and perspectives. Recommended word count – 400 words)

პირადი ინფორმაცია

პირადი ნომერი:

სრული სახელი:

სქესი:

დაბადების თარიღი:

მოქალაქეობა:

საკონტაქტო ინფორმაცია

ელ.ფოსტა:

მობილურის ნომერი:

ქვეყანა:

ქალაქი:

მისამართი:

ენები

ენა	წერა	კითხვა	მეტყველება

განათლება

უმაღლესი აკადემიური ხარისხი/სტატუსი

აკადემიური ხარისხი/სტატუსი:

მინიჭების თარიღი:

მიღებული განათლება

აკადემიური ხარისხი/ სტატუსი	დაწესებულების დასახელება	ქვეყანა	სპეციალობა	დაწყების წელი	დასრულების წელი

ტრენინგები/სემინარები/სასწავლო კურსები

ორგანიზაციის დასახელება	ტრენინგის / სემინარის / სასწავლო კურსის თემა	დაწყების წელი	დასრულების წელი

პროექტები

მიმდინარე პროექტები

პროექტის დასახელება	პოზიცია	პროექტის ხელმძღვანელი	დაწყების თარიღი	დონორი

დასრულებული პროექტები

პროექტის დასახელება	პოზიცია	პროექტის ხელმძღვანელი	დაწყების თარიღი	დასრულების თარიღი	დონორი

სამეცნიერო მიმართულებები

ძირითადი მიმართულებები

მიმართულება:

ქვე-მიმართულება:

კატეგორია:

დასაქმების ისტორია

მიმდინარე სამუშაო ადგილ(ებ)ი

სამუშაო ადგილი	სტრუქტურული ერთეულის დასახელება	თანამდებობა	მოვალეობები	დაწყების თარიღი

სამეცნიერო პროდუქტიულობა

პატენტები

დასახელება	გამცემი ორგანიზაცია	სარეგისტრაციო ნომერი	გაცემის წელი

სხვა პროდუქტები

პროდუქტის ტიპი	სარეგისტრაციო ნომერი	გაცემის წელი

სტატია / მონოგრაფია / სახელმძღვანელო

ტიპი	ავტორ(ებ)ი	სათაური	ჟურნალი	წელი

სტიპენდიები და ჯილდოები

სტიპენდიის/ჯილდოს დასახელება	გამცემი	მიღების წელი

სამეცნიერო ფორუმებში მონაწილეობა

სამეცნიერო ფორუმის დასახელება	მოხსენების სათაური	ჩატარების ადგილი	წელი

პროდუქტიულობის მაჩვენებელი

#	ციტირების ინდექსი	h-ინდექსი
Google Scholar		
Web-of-Science		
Scopus		

Annex 4

Contact Details

Personal information

ID Number:

Full name:

Gender:

Date of birth:

Citizenship:

Email address:

Call number:

Country:

City:

Address:.

Languages

Language	Writing	Reading	Speaking

Education

Academic degree

Academic Degree:

Year obtained:

Education

Academic Degree	Name of the Institution	Country	Major discipline	Start year	End year

Trainings / Seminars / Training courses

Training / Seminar / The theme of the course	Organization name	Start year	End year

Projects

Ongoing projects

Project title	Position	Project head	Start Date	Donor

Completed projects

Project title	Position	Project head	Start Date	End Date	Donor

Scientific Fields

Main Field

Field:

Sub-Field:

Subject area:

Employment History

Current place(s) of employment

Workplace	Name of the work department	Position	Main responsibilities	Start Date

Scientific Productivity

Patents

Patent name	Issuing organization	Registration number	Year of Issue

Other products

Product Type	Registration number	Year of Issue

Article / Monograph / Manual

Type	Authors	Publication title	Source title	Year

Scholarships and awards

Scholarships/awards name	Issuer	Year of Issue

Participation in scientific events

Scientific event name	Title of the presentation	Event venue	Year

Productivity index

#	Citation index	h-index
Google Scholar		
Web-of-Science		
Scopus		

დანართი №5
გენერირდება GMUS-ით

GFI-26-

სარეგისტრაციო შიფრი

სსიპ - შოთა რუსთაველის საქართველოს ეროვნული სამეცნიერო ფონდისა და საქართველოს ფრანგული ინსტიტუტის ერთობლივი კვლევითი სტაჟირების პროგრამის საგრანტო კონკურსი

გ ა ნ ც ხ ა დ ე ბ ა

მოგახსენებთ, რომ გავეცანი ,,სსიპ - შოთა რუსთაველის საქართველოს ეროვნული სამეცნიერო ფონდისა და საქართველოს ფრანგული ინსტიტუტის ერთობლივი კვლევითი სტაჟირების პროგრამის საგრანტო კონკურსის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის 2019 წლის 12 დეკემბრის №235/ნ ბრძანებას, აგრეთვე, სსიპ - შოთა რუსთაველის საქართველოს ეროვნული სამეცნიერო ფონდის გენერალური დირექტორის 2026 წლის 23 აპრილის № N470709 ბრძანებით ბრძანებით დამტკიცებულ კონკურსის პირობებს და ხელმოწერით ვაცხადებ თანხმობას, მონაწილეობა მივიღო საგრანტო კონკურსში ზემოთ ხსენებული დოკუმენტებით დადგენილი წესებისა და პირობების დაცვით.

ვადასტურებ, რომ ფონდის გრანტების მართვის ერთიან სისტემაში (GMUS) რეგისტრირებული პროექტისათვის წარმოდგენილი ინფორმაცია ზუსტია, არ შეიცავს ყალბ მონაცემებს და წარმოდგენილი პროექტი არ შეიცავს პლაგიატის ელემენტებს.

ვეთანხმები, რომ ფონდი უფლებამოსილია, კონკურსის ნებისმიერ ეტაპზე გადაამოწმოს პროექტის შესაბამისობა კონკურსის მიზნებისათვის დადგენილ მოთხოვნებთან, წარმოდგენილი ინფორმაციის სიზუსტე და რაიმე სიყალბის აღმოჩენის შემთხვევაში, მოხსნას წარმოდგენილი პროექტი კონკურსიდან.

ასევე თანახმა ვარ, რომ კონკურსის მიზნებისთვის ჩემი პერსონალური მონაცემები დამუშავდეს ფონდის მიერ.

გთხოვთ, განიხილოთ ჩემი პროექტი ,,სსიპ - შოთა რუსთაველის საქართველოს ეროვნული სამეცნიერო ფონდისა და საქართველოს ფრანგული ინსტიტუტის 2026 წლის ერთობლივი კვლევითი სტაჟირების პროგრამის საგრანტო კონკურსში“ მონაწილეობისთვის.

პროექტის სახელწოდება ქართულად	
პროექტის სახელწოდება ინგლისურად	
პროექტის ძირითადი სამეცნიერო მიმართულება	
1. მიმართულება	
2. ქვემიმართულება	
3. კატეგორია	
საკვანძო სიტყვები	
მასპინძელი დაწესებულება	
პროექტის დაწყების დრო	

მიწვეული მკვლევარი

სახელი და გვარი	
აკადემიური ხარისხი	
ტელეფონი	
ელ. ფოსტა	
ხელმოწერა	